ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1114494

ნომერი: AR1194049

თარიღი : 31.01.2014

გაცემის თარიღი : 07.02.2014

გაცნობის თარიღი : 10.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელენე მებონია პ/ნ 01005027314
- თბილისი გ.ცაბაძის ქ. კორ. 3 ბ. 1

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახური გაეცნო თქვენს AR1194049 განცხადებას, რომლითაც ითხოვთ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: # 01.72.14.034.263) 2011 წლის 23 მაისის მდგომარეობას, მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის სტატუსის შესახებ. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ნაწილობრივ ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3 (სსზ–3) და მცირედზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)(იხ.დანართი).
სატრანსპორტო ზონა 1(ტზ–1), მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს).
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 3 (სსზ–3) სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები; მიწის ნაკვეთზე განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლეა 15 მეტრი;
აქვე, გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე არქიტექტურის სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილება არ განხორციელებულა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge